დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის გეგმიური მონიტორინგის შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ია მოსაშვილი, სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ნინო გორგოშაძე, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, საქართველო

ტატიანა ტრეტიაკოვა, ი.ბერიტაშილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი,

ლაშა ლალიაშვილი, სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

საქართველო (სტუდენტი-ექსპერტი)

თბილისი

2019

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	206155328
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ქეთევან დედოფლის გამზირი N16, თბილისი, 0103, საქართველო
ვებ-გვერდი	http://ssu.edu.ge/index.php/ka/
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	08.05.2015 (გადაწყვეტილება N9)
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	2021 წლის 29 ივლისი

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	**19**
ბაკალავრიატი	11
მაგისტრატურა	6
ერთსაფეხურიანი	-
დოქტორანტურა	2
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	-
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	**17**
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	-

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	810	48	-
ბაკალავრიატი	747	26	-
მაგისტრატურა	48	18	-
ერთსაფეხურიანი	-	-	-
დოქტორანტურა	15	4	
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-	-	-
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	-	-	-

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3^{48} პუნქტში

უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	3	5	-
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	-	-	-

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	187
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	**54**
- პროფესორი	18
- ასოცირებული პროფესორი	31
- ასისტენტ პროფესორი	-
- ასისტენტი	5
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	**0**
- მეცნიერი	-
- პოსტდოქტორანტი	-
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	**40**
- აფილირებული პროფესორი	13
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	22
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	-
- აფილირებული ასისტენტი	5
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	1
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	**63**
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	**70**

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	571 695.00 კვ.მ
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	5 995.00 კვ.მ
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	565 700.00 კვ.მ

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

უსდ -ების ავტორიზაციის საბჭოს N9 გადაწყვეტილებით 2015 წლის 29 ივლისიდან შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს 5 წლის ვადით მიენიჭა უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების სტატუსი და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 1600 სტუდენტით.
2016 წელს განხორციელდა უნივერსიტეტის მონიტორინგი და ამავე წლის 14 ივლისის უსდ-ების ავტორიზაციის საბჭოს N13 გადაწყვეტილებით შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით. მონიტორინგი განხორციელდა ძველი სტანდარტის შესაბამისად.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №1115 ბრძანებით (19.11.2019 წ) შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
1. ია მოსაშვილი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე;
2. ნინო გორგოშაძე - ექსპერტი;
3. ტატიანა ტრეტიაკოვა - ექსპერტი;
4. ლაშა ლალიაშვილი - სტუდენტი ექსპერტი.
ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია და 2019 წლის 13, 14 დეკემბერს, გეგმიური მონტორინგის ფარგლებში, განხორციელდა მათი ვიზიტი შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში (სსუ). ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შვიდივე სტანდარტი. ვიზიტი განხორციელდა სსუ-ს სასწავლო კორპუსებში (ქ.თბილისში, ქეთევან წამებულის N16) და პრაქტიკის განხორციელების ადგილებზე (ქ. თელავი, სოფ.კურდღელაური-თელავის აეროპორტში და ქ. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში).
ექსპერტთა ვიზიტი სსუ-ში წარიმართა კარგად ორგანიზებულ სამუშაო პირობებში, უნივერსიტეტის მხრიდან დროულად იქნა წარმოდგენილი ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაცია.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☒ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: 13-14 დეკემბერი, 2019წ.

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული

სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:

იქიდან გამომდინარე, რომ სსუ-ს ბოლო შეფასება განხორციელდა ავტორიზაციის ძველი სტანდარტების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო მონიტორინგის დასკვნას, თუმცა წინამდებარე ცხრილის შევსება არ მიიჩნია მიზანშეწონილად.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

- წარმოდგენილ იქნას სამოქმედო გეგმაში არსებული ამოცანების შესრულების ყოველწლიური ანგარიში;
- ჩატარდეს ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა;
- სტუდენტთა კონტინგენტი დაიგეგმოს უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული პრაქტიკული კომპონენტისათვის საჭირო მატერიალური ბაზის შესაბამისად;
- სსუ-მა გადახედოს დებულებასა და ორგანიზაციულ სტრუქტურას და ზოგიერთი მოქმედი სტრუქტურული ერთეული ასახოს ორგანიზაციულ სტრუქტურაში, ასევე დებულებაში განსაზღვროს ამ სტუქტურული ერთეულის ფუნქციები;
- სსუ-მ იზრუნოს უახლოეს მომავალში დანერგოს ელექრონული საქმის წარმოების სისტემა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მიმართებაში დებულებაში გასწორდეს ჩანაწერი და ის განისაზღვროს ან მართვის ორგანოდ ან ადმინისტრაციულ ერთეულად;
- ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაწესებულებამ იზრუნოს ინგლისურენოვანი პროგრამების რაოდენობის ზრდაზე. უზრუნველყოს უფრო მეტი ჩართულობა გაცვლით პროგრამებში, როგორც სტუდენტებთან მიმართებით, ასევე პერსონალთან დაკავშირებით;
- შემოწმდეს პლაგიატზე ყველა ტიპის სამეცნიერო ნაშრომი;
- განხორციელდეს ცვლილება ეთიკის კოდექსში ადმინისტრაციული პერსონალისთვის ეთიკისა და ქცევის წესების განსაზღვრის მიზნით რეაგირების პროცედურებთან ერთად.
- გადაიხედოს საბაკალავრო პროგრამები და შესაბამისი სილაბუსები, რათა ტექნიკური შეცდომა იქნას გასწორებული;
- უნივერსიტეტმა შეიმუშავოს პროგრამების კატალოგები და განათავსოს ვებ-გვერდზე. გასწორდეს ვებ-გვერდის გაუმართაობა, ინგლისური და ქართული ვერსია მოვიდეს შესაბამისობაში;
- მოხდეს პერსონალის პირადი საქმეების სრულყოფა;
- ყოველწლიურად ჩატარდეს ადმინისტრაციული პერსონალის კვლევის ჩატარება;
- სტუდენტების გამოკითხვები აუცილებლად ჩატარდეს მხოლოდ ანონიმურად;
- გამოსწორდეს ტექნიკური შეცდომა საათობრივი დატვირთვის ცხრილში;
- შეიქმნას სამეცნიერო კვლევითი ცენტრში არ გაწევრიანებული პერსონალის კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- ყურადღება მიექცეს სადოქტორო ნაშრომების გაფორმებას, თანამედროვე ლიტერატურის გამოყენებას;
- მოხდეს დოქტორანტების უფრო მეტად ინფორმირება საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო ბაზებით სარგებლობასთან მიმართებაში;
- შემუშავებულ იქნას კვლევითი საქმიანობის შეფასების დამოუკიდებელი მექანიზმი და მოხდეს მისი იმპლემენტაცია;
- პერიოდულად გამოქვეყნდეს პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების ანალიზის საფუძველზე განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია;
- სრულყოფილად იქნას წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევების შესახებ ანგარიშები;

- გადამზადდეს ბიბლიოთეკის პერსონალი საბიბლიოთეკო ელექტრონული რესურსების გამოყენების უზრუნველსაყოფად;
- დაინერგოს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა;
- გაუმჯობესდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ინტეფეისი;
- მოხდეს ვებ გვერდის განახლება და დახვეწა;
- დაწესებულებამ განახორციელოს ფინანსური აუდიტი უფლებამოსილი ფინანსური ფირმის მიერ, რომლის მიერ შედგენილი დასკვნები და შედეგები იქნება საჯაროდ ხელმისაწვდომი.

რჩევები

- გამოკითხვების შედეგების ანალიზის და შემდგომი რეაგირების შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ გამოკითხვებში ჩართულ პირებს;
- გაიზარდოს პერსონალის ჩართულობა ინგლისურენოვან პროგრამებში;
- სასურველია სასწავლებელმა პროგრამის შეფასების, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მონიტორინგის პროცედურები ჩამოაყალიბოს უფრო მკაფიოდ ერთ დოკუმენტში, რათა უფრო აღქმადი და გასაგები იყოს აღნიშნული პროცედურები.
- შეიქმნას სადოქტორო პროგრამის/სადისერტაციო საბჭოს დებულება, რომელშიც ასახული იქნება დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობები, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების დეტალური განხილვა, დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობები და სხვა;
- გაიზარდოს იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა;
- ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით უნივერსიტეტს აქვს გატარებული ბევრი აქტივობა, თუმცა კვლევებთან დაკავშირებით საჭიროა უფრო მეტი ჩართულობა საერთაშორისო ღონისძიებებში, კონფერენციებში მონაწილეობა უცხოეთში;
- სასურველია მოეწყოს უფრო მეტი თავისუფალი სივრცე და მოეწყოს სტუდენტზე ორიენტირებული უფრო მეტი თავისუფალი სივრცე;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წახალისება სტუდენტებისა და პერსონალისათვის;
- სასურველია უნივერსიტეტმა ეტაპობრივად განაახლოს ლაბორატორიებში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
- უმჯობესი იქნებოდა უნივერსიტეტს წარმოდგენილი ჰქონდეს სამოქმედო გეგმაში არსებული ამოცანების შესრულების ყოველწლიური ანგარიში.

საუკეთესო პრაქტიკა

-

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება		☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა		☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☒	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☒	☐	☐
3. საგანმანათლებლო პროგრამები		☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4. უსდ-ის პერსონალი		☐	☒	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☒	☐	☐
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები		☐	☒	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☐	☒	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა		☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☒	☐
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები		☐	☒	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ია მოსაშვილი (თავმჯდომარე)
2. ნინო გორგოშაძე (წევრი)
3. ტატიანა ტრეტიაკოვა (წევრი)
4. ლაშა ლალიაშვილი (წევრი)



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მისიაა საფრენოსნო მომზადების, საავიაციო ინჟინერიისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით მოამზადოს კვალიფიციური კადრები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მისია შეესაბამება უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულების პროფილს, საქმიანობას და მიზნებს, რომელთა მნიშვნელობა სცდება საავიაციო სფეროს ადგილობრივ გამოწვევებს, რაც საერთაშორისო თუ ადგილობრივი ფრენების უსაფრთხოდ და ხარისხიანად განხორციელებაში გამოიხატება. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიუხედავად უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ინგლისურენოვანი პროგრამების სიმწირისა, უნდა აღინიშნოს, რომ მისია საერთაშორისო დონისაა, რამეთუ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ცოდნის ხარისხი დასტურდება საერთაშორისო საავიაციო სტანდარტებით. რაც შეეხება უნივერსიტეტის როლს ადგილობრივ თუ რეგიონალუ დონეზე, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს არ ჰყავს კონკურენტი საფრენოსნო მომზადებასა და საავიაციო ინჟინერიაში, რაც შეეხება ბიზნესის ადმინისტრირებას, როგორც კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს აღნიშნა, ამ პროგრამის კურსდამთავრებულების 90 % დასაქმებულია საავიაციო ბიზნესში, სწორედ ამ უნივერსიტეტს შეუძლია აღნიშნული სფეროს უზრუნველყოფა შესაფერისი კადრებით. უნივერსიტეტის ადმისისტრაციასთან ინტევიუს დროს მათი მხრიდან აღინიშნა, რომ პირველ რიგში, უნივერსიტეტი ცდილობს იყოს წამყვანი რეგიონში და შემდეგ საერთაშორისო დონეზე. გარდა დარგობრივი უნარებისა, სსუ-ს მისიაში ჩანს უნივერსიტეტის სწრაფვა, ხელი შეუწყოს კურსდამთავრებულთა პიროვნული თვისებების განვითარებას, რაც მათ დაეხმარებათ პროფესიონალებად ჩამოყალიბებაში. მისია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და გაზიარებულია საუნივერსიტეტო საზოგადოებისათვის და ასევე, უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული საკუთარ საქმიანობას წარმართავს სწორედ მისიაში წარმოდგენილი მიზნების მიღწევისათვის. აღნიშნული ნათად გამოიკვეთა უნივერსიტეტის სხვადსხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ინტერვიუების დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სსუ-ს მისია;
- ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მიზნების მიღწევას, კერძოდ, სტრატეგიული გეგმის პრიორიტეტებს წარმოადგენს: ინსტიტუციური გაძლიერება, საერთაშორისო პროფილის გძლიერება, ხარისხის განვითარება, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გაძლიერება, სასწავლო-საფრენოსნო ინფრასტრუქტურის განვითარება. ინტერვიუებიდანაც ჩანს, რომ უნივერსიტეტს

გადადგმული აქვს გარკვეული ნაბიჯები სტრატეგიული გეგმის შესრულების მიზნით, მაგალითად, ბიზნეს უწყვეტობის გეგმის შესაბამისობაში მოყვანა სტრატეგიულ გეგმასთან, ადაპტირებული წერტილების გაზრდა, ავტოსადგომის გამოყოფა შშმ პირებისათვის, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შემუშავება და დამტკიცება, კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

2019 წლის მარტში უნივერსიტეტმა შეიმუშავა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია 2019-2026 წლებისათვის, რომელიც შედგება ფაზებისგან, დაწყებული სტრატეგიული დაგეგმვის საბჭოს შექმნიდან, სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრით და შესრულების მონიტორინგით. შემუშავებულია სტრატეგიული დაგეგმვის მოდელები: კონვენციური/შეთანხმებითი სტრატეგიული დაგეგმვა, საკითხებზე დაფუნებული სტრატეგიული დაგეგმვა, ორგანული სტრატეგიული დაგეგმვა, სტრატეგიული დაგეგმვა რეალურ დროში, სტრატეგიული დაგეგმვის მაკავშირებელი მოდელი, შთაბეჭდილების მომხდენი მოდელი. ამ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით უნივერსიტეტმა შექმნა სტრატეგიული დაგეგმვის საბჭო, ჩამოაყალიბა მისია, ხედვები და ღირებულებები, გააკეთა SWOT ანალიზი, გნსაზღვრა სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტები და შეიმუშავა სტრატეგიული განვითარების 7 წლიანი გეგმა და სამოქმედო გეგმა 2019-2021 წლებისათვის.

ინტერვიუებიდან ჩანს, რომ სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში ჩართული იყვნენ სსუ-ს პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. ისინი მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებშ, გამოთქვამდნენ საკუთარ მოსაზრებებს, ასევე ავსებდნენ კითხვარებს და აფიქსირებდნენ საკუთარ მოსაზრებებს სტრატეგიული განვითარების გეგმასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტი სტრატეგიული გეგმის თანახმად გეგმავს სხვადასხვა განსახორციელებელი აქტივობებს: კვალიფიციური კადრების მოზიდვა-შენარჩუნების მექანიზმების შემუშავება და ინფორმაციის გავრცელება, მექანიზმის მუშაობის ეფექტურობის მონიტორინგი, პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა, შედეგების შეჯამება, წახალისების ეფექტური მექანიზმის დანერგვა, ორგანიზაციული სტრუქტურის განახლება, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, პერსონალის, სტუდენტებისა და მათი მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვა, კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა და მატერიალურ, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების გაძლერება.

სტრატეგიული განვითარების გეგმაში მითითებულია, რომ ყოველი წლის ბოლოს უნდა მოხდეს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული წლიური აქტივობების განხორციელების შედეგების განხილვა-შეფასება, თუმცა აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს, რომელიც 13-14 დეკემბერს განხორციელდა, უნივერსიტეტს არ ჰქონდა წარმოდგენილი 2019 წელს განხორციელებული აქტივობების შედეგების შეფასების დოკუმენტი. გარდა დადებითი მხარეებისა, სსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმაში გათვალისწინებული აქვს სუსტი მხარეების გამოსწოებაც, მათ შორისაა ისეთი საკითხები, რომელიც ნათლად გამოიკვეთა ექსპერტთა ვიზიტის დროს: ინგლისურენოვანი პროგრამების მცირე არჩევანი, დოქტორანტურაზე კურდამთავრებულთა სიმცირე, მართვის ელექტრონული სისტემის არ არსებობა, დაფინანსების ალტერნატიული წყაროების ნაკლებობა, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში სტუდენტების დაბალი ჩართულობა. სტრატეგიული განვითარების გეგმა პრიორიტეტების მიხედვითაა წარმოდგენილი. პირველ პრიორიტეტს წარმოადგენს ინსტიტუციური გაძლიერება, რომელიც მოიცავს ადამიანური რესურსების განვითარებას, ეფექტური მართვის უზრუნველყოფას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, იმიჯის პოპულარიზაციას. მეორე პრიორიტეტია საერთაშორისო პროფილის გაძლიერება, რომელიც მოიცავს საერთაშორისო თანამშორომლობის განმტკიცებას, საგანმანათლებლო პროგრმაების ინტერნაციონალიზაციას, უცხოელი სტუდენტების ჩართულობას, კვლევის ინტერნაციონალიზაციას. ხარისხის განვითარება სტრატეგიული დაგეგმვის მე-3 პრიორიტეტია, სადაც შედის სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება, კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლება, საგანამანათლებლო პროგრამების ხარისხის ამაღლება. მე-4 პრიორიტეტი არის დაინტერესებულ მხარეთა გაძლიერება, კერძოდ, დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო კომუნიკაცია, მათი ინტერესების შესაბამისი პროდუქტების/სერვისების განვითარება. სასწავლო-საფრენოსნო ინფრასტრუქტურის განვითარება გულისხმობს მათ განახლებას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, მათი გამართულობის კონტროლს.

უნივერსიტეტი ხელს უწყობენ მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლას, რის მაგალითსაც წარმოადგენს უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ტრენინგ ცენტრები, რომელთ მიზანი არის სტუდენტების და სხვა დაინტერესებული მხარეების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგების განხორციელება.

მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა, ორივე 2019 წლის გაზაფხულზეა შემუშავებული, არ არის წამოდგენილი განხორციელებული აქტივობების ანგარიში, შესაბამისად არ ჩანს მათთან დაკავშირებული უკუკავშირი.

2019-2021 წლების სამოქმედო გეგმაში ყველა ამ მიზნების განხორცილებისათვის ნაჩვენებია საჭირო აქტივობები, რესურსები, შესრულების ვადა, პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და ბიუჯეტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: - სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია; - სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი); - ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: - წარმოდგენილ იქნას სამოქმედო გეგმაში არსებული ამოცანების შესრულების ყოველწლიური ანგარიში.
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სსუ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა დამტკიცებულია 2018 წლის 28 დეკემბრის რექტორის ბრძანებით 06/80. აღნიშნული ბრძანება ამტკიცებს სასწავლებლის დებულებას, რომლის განუყოფელი ნაწილია ასევე ორგანიზაციული სტრუქტურა. დებულებასა და შესაბამისად ორგანიზაციულ სტრუქტურაში გათვალისწინებულია ის აუცილებელი სტრუქტურული ერთეულები, რომლებიც უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი მიზნისა თუ სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. სსუ-ს განსაზღვრული აქვს მართვის ორგანოები, რომელსაც წარმოადგენს რექტორი, მმართველი საბჭო და ხარისხის სამსახური, ძირითადი სტრუქტურული საგანმანათლებლო ერთეულები - ფაკულტეტები, ადმინისტრაციული ერთეულები და დამხმარე ერთეულები. აღსანიშნავია, რომ დებულების მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მიეკუთვნება მართვის ორგანოს, თუმცა მათივე დებულებაში ეს სტრუქტურული ერთეული განსაზღვრულია როგორც ადმინისტრაციული ერთეული. ასევე აღსანიშნავია, რომ დებულებასა და ორგანიზაციულ სტრუქტურაში არ არის აღნიშნული იურიდიული ერთეული, თუმცა სასწავლებელში ინტერვიუს ესწრებოდა აღნიშნული ერთეულის წარმომადგენელი, რომელმაც აღნიშნა რომ ის ხელშეკრულების საფუძველზე არის დასაქმებული დაწესებულებაში და აქვს განსაზღვრული უფლება-მოვალეობები. მმართველი საბჭოს წევრები განსაზღვრულია დებულებით და მას თავმჯდომარეობს რექტორი. საბჭო

უზრუნველყოფს მიზნების ამოცანების და მისიის ჩამოყალიბებას, შემუშავებას და რეალიზებას. ის შეიმუშავებს და ამტკიცებს ასევე ბიუჯეტს. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ საბჭოს აქვს ქმედითუნარიანი ფუნქცია, ის იკრიბება საჭიროების შემთხვევაში და საკმაოდ რეგულარულად.

დებულება ნათლად განსაზღვრავს თითოეული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას, მოვალეობებსა და უფლებებს. ინტერვიუს დროს ასევე დასტურდება, რომ თანამშრომლები აცნობიერებენ საკუთარ მოვალეობებსა და დაკისრებულ ფუნქციებს, იცნობენ დაწესებულების მიზნებსა და მისიას და შესაბამისად შეუძლიათ ეფექტურად და კოორდინირებულად მუშაობა.

პროფესორთა და აკადემიური პერსონალის არჩევა ხდება აკადემიური თანამდებობისა და პროფესიული ნიშნის მიხედვით დებულების თანახმად. პროფესორი აირჩევა უვადოდ. დანარჩენები 4 წლის ვადით. 5 წელიწადში ერთხელ აკადემიური პერსონალი ექვემდებარება ატესტაციას. აღსანიშნავია, რომ დებულება შემუშავებულია 2019 წლის იანვარში და შესაბამისად ვერ ფასდება ატესტაციის პრაქტიკაში განხორციელება. პროფესიული ნიშნით შეიძლება აირჩეს პირი რომელსაც აქვს მაგისტრის ხარისხი და პროფესიული გამოცდილება. გარდა დებულებისა სსუ-ს შემუშავებული აქვს დოკუმენტი „პერსონალის მართვის პოლიტიკა“, რომელიც განსაზღვრავს სამსახურში მიღების წესს. აკადემიური პერსონალის მიღება ხდება ღია კონკურსის საფუძველზე, ხოლო ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალის რეკომენდაციის საშუალებითაც თანამდებობრივი ინსტუქციით განსაზღვრული და დადგენილი საკვალიფიკიაციო კრიტერიუმების გათვალისწინებით უნივერსიტეტმა ვიზიტის დროს წარმოადგინა HR.gov.ge-ზე განთავსებული თავისი ვაკანსია, რაც მიუთითებს რომ პროცესი არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისობაში.

სსუ-ს ორგანიზაციულ სტრუქტურაში განსაზღვრული აქვს საქმისწარმოების მენეჯერი, რომლის ფუნქციებიც განსაზღვრულია დებულებაში. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს „საქმის წარმოების წესი“, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულებაში შემოსული, გასული და შიდა დოკუმენტაციის წარმოებასა და მართვას. აღსანიშნავია, რომ დაწესებულება სარეგისტრაციოდ იყენებს ჟურნალებს და ელექტრონული საქმისწარმოება არ არის დანერგილი, თუმცა ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ დაგეგმილია ელექტრონული საქმისწარმოების დანერგვა და მიმდინარეობს შესაფერისი მომწოდებელი კომპანიის მოძიება. აღნიშნული აქტივობა ასევე გაწერილია 3 წლიან სამოქმედო გეგმაში, სადაც აღნიშნულია რომ კომპანიის მოძიება უნდა დასრულებულიყო მიმდინარე წლის სექტემბერში, ხოლო სისტემის იმპლემენტაცია დაგეგმილია 2020 წლისათვის. დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოებას.

შემუშავებულია ასევე ბიზნესუწყვეტობის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს უნივერიტეტის ფუნქციონირებისათვის მოსალოდნელ საფრთხეებსა და მათი მოპყრობის ამოცანებს. მაგალითად ელექტრონული საქმის წარმოების დანერგვამდე უნივერსიტეტი აწარმოებს შიდა და გარე კორესპონდენიის აღრიცხვა/რიგისტრაციას საკანცელარიო ჟურნალებში. დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს უსაფრთხოებისა და უშიშროების საკითხებთან დაკავშირებული რისკების განსაზღვრას და ამ რისკების შესამცირებალად/აღმოსაფხვრელად პრევენციული ზომების პრაქტიკაში გამოყენებას ბიზნესუწყვეტობის შენარჩუნებისათვის.

არსებობს ინტერნაციონალიზაციის დებულება, რომელიც შემუშავებულია 2019 წლს. სტრატეგია ხაზს უსვამს ინტერნაციონალიზაციის აუცილებლობას და მისიაშიც გაცხადებულია მისი მნიშვნელობა. ინტერნაციონალიზაცია განსაზღვრავს 4 ძირითად მიზანს: საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება - ევროპის ავიაციის უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) აღიარების მოპოვება, თანამშრომლობა უცხოურ უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო დაფინანსების მოპოვება; საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის გამოხატულებაა ინგლისურენოვანი პროგრამები და უცხოელ სტუდენტთა ჩართულობა; თუმცა დამსაქმებლების მიერ აღინიშნა, რომ სასურველია უფრო მეტი ინგლისურენოვანი პროგრამა სასწავლებლის მიერ შემოთავაზებული პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე.

ინსტიტუცია იყენებს სტუდენტებისთვის გაცვლით პროგრამებს (Erasmus). 30 სტუდენტი უკვე იმყოფებოდა გაცვლითი პროგრამით ევროპის სხვადასხვა სასწავლებლებში. უნივერსიტეტი ახორციელებს ინტერნაცონალიზაციის შედეგად მიღებული ცოდნისა თუ გამოცდილების გაზიარებას და გამოყენებას საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით. სტუდენტებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ისინი სასწავლებლის მიერ ინფორმირებულნი არიან გაცვლითი პროგრამების შესახებ. აღნიშნული მიუთითებს, რომ დაწესებულება ზრუნავს და ხელს უწყობს სტუდენტების საერთაშორისო მობილობას, თუმცა სასურველია ამ მიმართულების უფრო მეტად გაძლიერება, განსაკუთრებით თანამშრომელთა

საერთაშორისო მობილობის მიმართულებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - სსუ-ს დებულება; - სსუ-ს სტრუქტურა; - საქმისწარმოების წესი; - ბიზნესუწყვეტობის პოლიტიკა; - ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა; - პერსონალის მართვის პოლიტიკა; - სსუ-ს სამწლიანი სამოქმედო გეგმა; - სსუ-ს ვებ-გვერდი; - ინტერვიუ.
რეკომენდაციები: - სსუ-მა გადახედოს დებულებასა და ორგანიზაციულ სტრუქტურას და ზოგიერთი მოქმედი სტრუქტურული ერთული ასახოს ორგანიზაციულ სტრუქტურაში, ასევე დებულებაში განსაზღვროს ამ სტუქტურული ერთეულის ფუნქციები. - სსუ-მ იზრუნოს უახლოეს მომავალში დანერგოს ელექრონული საქმის წარმოების სისტემა; - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან მიმართებაში დებულებაში გასწორდეს ჩანაწერი და ის განისაზღვროს ან მართვის ორგანოდ ან ადმინისტრაციულ ერთეულად; -ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაწესებულებამ იზრუნოს ინგლისურენოვანი პროგრამების რაოდენობის ზრდაზე. უზრუნველყოს უფრო მეტი ჩართულობა გაცვლით პროგრამებში, როგორც სტუდენტებთან მიმართებით, ასევე პერსონალთან დაკავშირებით.
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
○ უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. ○ უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს 2019 წელს შემუშავებული აქვს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, გარდა პლაგიატის გამოვლენის მექნიზმებისა, რომელიც 2017 წელსაა შემუშავებული. იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული მექანიზმები ახალია, ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა ჩატარებული გამოკითხვები და მათი შედეგები, ასევე წინა წლებში განხორციელებული გამოკითხვების შესახებ ინფორმაცია მიიღო ინტერვიუების შედეგად. სსუ ატარებს გამოკითხვებს, აანალიზებს შედეგებს და რეაგირებას ახდენს უარყოფით შეფასებებზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გამოკითხვებში ნაჩვენები

უარყოფითი შეფასებებიც კი უნივერსიტეტმა ღიად წარმოადგინა ექსპერტებთან. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სულ 2 პერსონალით შემოიფარგლება, თუმცა საინფორმაციო და მატერიალური რესურების სწორად გამოყენების გზით ისინი ახორციელებენ საჭირო ინფორმაციის გენერირებას და შეფასებას. ყოველი სემესტრის ბოლოს ტარდება სტუდენტების გამოკითხვები Google პლატფორმის გამოყენებით. სწორედ ამ გამოკითხვების შედეგების ანალიზის საფუძველზე მოხდა სტუდენტური სივრცეების მოწყობა, კომპიუტერების განახლება ბიბლიოთეკაში, ქიმიის კურსის ამოღება ერთ-ერთი სასწავლო პროგრამიდან და სხვა. ზოგადად გამოკითხვები ანონიმურია, გარდა სტრატეგიულ დაგეგმასთან დაკავშირებით ჩატარებული გამოკითხვისა. პროგრამების განამახორციელებელი პერსონალი, როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული, ადასტურებენ პერსონალის გამოკითხვებში მონაწილეობას.

სსუ-ს შემუშავებული აქვს პროგრმის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურა. შემუშავებულია და ჩატარებულია გამოკითხვები საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარის მიხედვით, ასევე საგნის შეფასების კითხვარი, კურდამთავრებულის და დამსაქმებლის მიერ უნივერსიტეტის შეფასების კითხვარი. საგანამანათლებლო პროგრამების შეფასებაში მონაწილეობენ როგორც პერონალი, ასევე სტუდენტები, კურდამთავრებულები და დამსაქმებლები. დამსაქმებლების გამოკითხვაში, სადაც ნათლად ჩანს მათი მოთხოვნები, როგორც უნივერსიტეტის რესურებთან მიმართებაში, ასევე სასაწავლო კურსების მოდიფიცირების თვალსაზრისით. მაგ., ცოდნის გაღმავება ტექნიკური საგნებისადმი, უფრო მეტი პრაქტიკული მეცადინეობები, სასწავლო პროგრამის დახვეწა, კერძოდ ინგლისურენოვანი საგნების შემოტანა სასწავლო პროგრამაში, ინგლისური და რუსული ენის ცოდნის გაღრმავება და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუებისას შიდა ხარისხის სამსახური აღნიშნავს, რომ იგეგმება ადმინისტრაციული პერსონალის კვლევის ჩატარება შემდეგი წლის ზაფხულში, ექსპერტთა ჯგუფი აფიქსირებს, რომ დღეის მდგომარეობით ადმინისტრაციული პერსონალის კვლევა არ არის ჩატარებული. თუმცა, თვალნათლივ ჩანს, რომ სსუ-ს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ადმინისტრაციული პერსონალი აქტიურადაა ჩართული და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების კითხვარი და თვითშეფასების ფორმა შემუშავებული და დამტკიცებულია. ტრენინგ ცენტრების მიერ შემუშავებულია წლიური ტრენინგების გეგმა ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ინტერვიუს დროსაც ადმინისტრაციულმა პერსონალმა აღნიშნა, რომ ისინი პერიოდულად გადიან ტრენინგებს. ყოველწლიურად მმართველი საბჭო განიხილავს შიდა ხარისხის სამსახურის მუშაობის შედეგებს.

სსუ-ს შემუშავებული აქვს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის დებულება, სადაც გაწერილია მონიტორინგის პროცედურები. მონიტორინგის შედეგებს უნივერსიტეტი იყენებს სხვადასხვა საგნების სასწავლო თემატიკების გასაუმჯობესებლად, ეს ეხებოდა მაგალითად, მათემატიკას, სადაც გარკვეული თემები გამარტივებული სახით იქნა წარმოდგენილი სილაბუსში, ხოლო ინგლისური ენის შემთხვევაში, დაემატა საათები.

2018 წელს სსუ-ს შემუშავებული აქვს სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის თანახმადაც საგანამანთლებლო პროგრამების განხორცილებისთვის საჭირო აკადემიური და მოწვეული პერსონალის და სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 1/10-ს, აფილირებული პერსონალის რაოდენობა თითეულ პროგრამაზე უნდა იყოს არანალებ 3, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან მიმართებაში არ უნდა აღემატებოდეს ½-ს. სამეცნიერო ხელმღვანელების თანაფარდობა სტუდენტებთან მიმართებაში არ უნდა აღემატებოდეს 1/5, ადმინისტრაციული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან კი არ უნდა აღემატებოდეს 1/20-ს. ასევე გათვალისწინებულია მატერიალური რესურსი და ფართი თითოეულ სტუდენტზე. იქიდან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტის პროგრამების განხორციელებისათვის, განსაკუთრებით საფრენოსნო ფაკულტეტის პროგრამებისათვის, აუცილებელია საფრენი აპარატები, მატრიალური რესურსის შესაბამისად უნდა ხდებოდეს სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვა და ეს უნდა იყოს ასახული წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის დებულება;
- უმაღლესი საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
- პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურა;
- პერსონალის შეფასების პროცედურა;
- პერსონალის/სტუდენტების/კურდამთავრებულების/დამსაქმებლების კითხვარები;
- მმართველი საბჭოს 2018-2019 სასწავლო წლის შემაჯამებელი ოქმი;
- სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია;

- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- ჩატარდეს ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა;
- სტუდენტთა კონტინგენტი დაიგეგმოს უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული პრაქტიკული კომპონენტისათვის საჭირო მატერიალური ბაზის შესაბამისად.

რჩევები:

- გამოკითხვების შედეგების ანალიზის და შემდგომი რეაგირების შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ გამოკითხვებში ჩართულ პირებს.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2017 წელს სსუ-ს შემუშავებული აქვს უნივერსიტეტის შინაგანაწესი, სადაც მოცემულია დასაქმებულის სამუშაო პირობების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის არის დისციპლინური გადაცდომების, და დისციპლინური პასუხისმგებლობების შესახებ. მათ შესრულებაზე კონტროლი ევალება ადამიანური რესურსების სამსახურს. აღნიშნული დადასტურდა ინტერვიუს დროს როგორც თავად ადამიანური რესურსების სამხახურისგან, ასევე პერსონალისგან.

სსუ-ს ასევე შემუშავებული აქვს ეთიკის კოდექსი, რომელიც ეხება როგორც აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, ასევე სტუდენტებს. აღწერილია დისცილინური პასუხისმგებლობის პროცედურები და დისციპლინური სანქციები. უნდა აღინიშნოს, რომ არსებული დოკუმენტი არ შეიცავს მსგავს წესებს ადმინისტრაციული პერსონალისათვის. უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს პერსონალის და სტუდენტების მიერ შინაგანაწესის დარღვევის გამო გამოცხადებული საყვედურის დამადასტურებელი დოკუმენტები.

რაც შეეხება პერსონალის წახალისების პრინციპებს, ეს მოცემულია პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. პერსონალთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ უნივერსიტეტი იყენებს პერსონალის წახალისების სხვადასხვა მექანიზმებს, როგორებიცაა მადლობა, ფინანსური წახალისება, პროფესიონალური ტრენინგები და სხვა.

სსუ-ს შემუშავებული აქვს პლაგიატის გამოვლენისა და მასზე რეაგირების მექანიზმები. აღნიშნული საკითხის შესახებ ინფორმაციას ფლობს როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე სტუდენტები. ექსპერტთა ვიზიტის დროს გადამოწმდა დოქტორანტის ნაშრომი, რომელიც მზადაა დაცვისათვის, კერძოდ, ნაშრომთან ერთად წარმოდგენილი იყო პლაგიატზე მისი შემოწმების შესახებ დოკუმენტი. უნივერსიტეტმა წარმოადგინა საჯარო ბიბლიოთეკიდან წერილი, რომ მიმდინარე წლის 17 დეკემბერს პლაგიატზე შემოწმდება აღნიშნული დისერტაცია. გარდა სადოქტორო ნაშრომებისა, უნივერსიტეტი დღეის მდგომარეობით არ ახორციელებს პლაგიატის პროგრამას სხვა სამეცნიერო სამუშაოების შესამოწმებლად, თუმცა აღინიშნა, რომ აღნიშნული მიმართულებით მომავალში დაგეგმილია შემოწმდეს სხვა ტიპის სამეცნიერო ნაშრომებიც.

უნივერსიტეტში დაცულია აკადემიური თავისუფლების პრინციპები. ამის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია როგორც უნივერსიტეტის შინაგანაწესში, ასევე პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში და დასტურდება როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალის მხრიდან ინტერვიუების

დროს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - შინაგანაწესი; - ეთიკის კოდექსი; - ეთიკის კოდექსის დარღვევის ბრძანებები; - დისციპლინური პასუხისმგებლობის ბრძანებები; - პერსონალის მართვის პოლიტიკა; - პლაგიატის გამოვლენისა და მასზე რეაგირების მექანიზმები. - ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: - შემოწმდეს პლაგიატზე ყველა ტიპის სამეცნიერო ნაშრომი; - განხორციელდეს ცვლილება ეთიკის კოდექსში ადმინისტრაციული პერსონალისთვის ეთიკისა და ქცევის წესების განსაზღვრის მიზნით რეაგირების პროცედურებთან ერთად.
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტი პროგრამებს ახორციელებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე. დაწესებულებაში ფუნქციონირებს 3 ფაკულტეტი: საფრენოსნო მომზადების, საინჟინრო და ბიზნეს ადმინისტრირების. სსუ-ს შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი“, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის შემუშავების, განვითარების და მონიტორინგისა, გაუქმებისა თუ შეფასების პროცედურებს. აღნიშნული პროცედურის მიხედვით პროგრამის შემუშავებასა და მის იმპლემენტაციაში ჩართულია ყველა რგოლი, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ პროგრამის ხარისხზე. დოკუმენტის მიხედვით პროგრამის შემუშავების დროს ხდება სტუდენტების, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების ჩართვა, მათი აზრისა და შეხედულებების გათვალისწინება. აღნიშნული დადასტურდა ინტერვიუს დროს. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხს კონტროლს უწევს ხარისხის სამსახური. თითოეული ფალულტეტი აკადემიური წლის ბოლოს ახორციელებს მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასებას და ანგარიშს წარუდგენს 30 ივლისამდე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ხარისხის სამსახური 3 წელიწადში ერთხელ თვითშეფასებას უგზავნის განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნულ ცენტრს. პროგრამის ეფექტიანობის შეფასების მიზნით ფაკულტეტი ახდენს ასევე პროგრამის პერიოდულ თვითშეფასებას 5 წელიწადში ერთხელ .

საინჟინრო და საფრენოსნო პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, სსუ მუდმივად ახორციელებს მათ საერთაშორისოდ დამკვიდრებულ ICAO-სა (საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის) და EASA-ს (ევროპის ავიაციის უსაფრთხოების სააგენტოს) სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას და შესაბამისად განხორციელებული ცვლილებების დანრეგვას.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ასევე „პროგრამის გაუმჯობესებისა და შეფასების პროცედურა", რომელიც ადგენს პროგრამის შეფასების როგორც შიდა ასევე გარე მექანიზმებს. შიდა შეფასების მექანიზმები ხორციელდება სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა მიერ. ხოლო შეფასების გარე მექანიზმებია: განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციები, სსიპ სამოქალაქო ავიაციის აუდიტი, საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის მიერ ჩატარებული აუდიტი, ევროპის ავიაციის უსაფრთხოების მიერ ჩატარებული აუდიტი, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები.

სტუდენტების მიერ პროგრამის შეფასება მოიცავს უკუკავშირს საჩივრებს. და სტუდენტების გამოკითხვას შესაბამისად შედგენილი კითხვარის მეშვეობით. კითხვარის საშუალებით ხდება როგორც, პროგრამის შეფასება ასევე ცალკეული საგნის შეფასება. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება კითხვარის სტატისტიკური ანალიზი და შედეგები წარედგინება ფაკულტეტსა და ხელმძღვანელობას. . პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით სასწავლებელი დამატებით ახორციელებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მიხედვით შერჩეული ფოკუს-ჯგუფების მონიტორინგს. აღნიშნული ფოკუსჯგუფების გამოკითხვას აწარმოებს პროგრამის მართვის ჯგუფი. აღნიშნული მონიტორინგის შედეგები აისახება ყოველწლიურ ანგარიშში.

ასევე სასწავლებელს შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" სადაც მე-18 მუხლი განსაზღვრავს პროგრამის შეფასების შიდა მექანიზმებს, კერძოდ სტუდენტის მიერ პროგრამის შეფასებას. სტუდენტი პროგრამის შეფასების კითხვარის გარდა და ასევე ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ FEEDBACK-ის სახით მეილზე აგზავნის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის აღწერას, სადაც მიუთითებს ორ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც ისწავლა პროგრამის ფარგლებში, ასევე სუსტ მხარეს, რომელსაც თვლის რომ კურსს გააჩნია და საკუთარ რეკომენდაციას სასწავლებელი ხარისხის მექანიმის უზრუნველყოფისათვის ერთ-ერთ მექანიზმად იყენებს მოწვეული თუ აკადემიური პერსონალის მიერ წარმოდგენილ ყოველსემესტრულ ანგარიშს, სადაც ისინი ასახავენ პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ მიღწევებს, კონფერენციებში მონაწილეობით მიღებულ შედეგებს, გამოქვეყნებული სტატიებისა თუ მოპოვებული გრანტების შესახებ ინფორმაციას.

დაწესებულება ასევე ახორციელებს შრომის ბაზრის კვლევას და ასევე, პროგრამების იმ კუთხით შეფასებას თუ რამდენად მოთხოვნადი და აქტუალურია შემოთავაზებული პროგრამა. კვლევის მიხედვით დაფიქსირებულია, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი საინჟინრო ფაკულტეტის მიხედვით არის 75%; საფრენოსნო მომზადების - 58 %, 2016 წელს ჰქონდა 78 %-უანი მაჩვენებელი; ბიზნეს ადმინისტრირება -56 %.

დაწესებულებას პროგრამის შეფასებისა თუ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები განსაზღვრული და ჩამოყალიბებული აქვს სამ ძირითად დოკუმენტში, კერძოდ: „პრგრამის განხორციელების წესი", პროგრამის გაუმჯობესებისა და შეფასების პროცედურა", „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი". მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტები აყალიბებენ პროგრამის შეფასებისა და მისი ხარისხსი უზრუნველყოფის სისტემას, რადგან წესები გაბნეულია სხვადასხვა დოკუმენტებში, ერთიანი სისტემის აღქმა ბუნდოვანი და რთულია. უმჯობესია სასწავლებელმა პროგრამის შეფასების, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მონიტორინგის პროცედურები ჩამოაყალიბოს უფრო მკაფიოდ ერთ დოკუმენტში.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს აგრეთვე სტუდენტთა მობილობის რეგულაციები და პროგრამის გაუქმების შემთხვევაში ითვალისწინებს სტუდენტთა ინტერესების დაცვას და აძლევს პროგრამის დასრულების შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

-სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
-პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურა;
-უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი;
-შრომის ბარის კვლევა;
-კურსდამთავრებულთა გამოკითხვა
-ინტერვიუ

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-სასურველია სასწავლებელმა პროგრამის შეფასების, პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მონიტორინგის პროცედურები ჩამოაყალიბოს უფრო მკაფიოდ ერთ დოკუმენტში, რათა უფრო აღქმადი და გასაგები იყოს აღნიშნული პროცედურები.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი ახორციელებს 9 საბაკალავრო, 6 სამაგისტრო და 2 სადოქტორო პროგრამებს. სასწავლებელს აქვს ასევე 2 ინგლისურენოვანი პროგრამა, რომელთა განხორციელების ნებართვა გაცემულია განათლების სამინისტროს მიერ.

პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი გამართულია, პროგრამა განსაზღვრავს მისანიჭებელ კვალიფიკაციას, მიზანს, სწავლის შედეგებს, სწავლების მეთოდებს, შეფასებას. პროგრამა ითვალისწინებს არჩევით კომპონენტებს. თუმცა საბაკალავრო პროგრამის ჩარჩოში ფიქსირდება ტექნიკური შეცდომა, კერძოდ რამდენიმე საგანს აქვს მითითებული წინაპირობად ისეთი საგანი, რომელიც არ ისწავლება ამ პროგრმის ფარგლებში.

საინჟინრო და საფრენოსნო პროგრამები დაფუძნებულია ICAO-სა და EASA-ს საკვალიფიკაციო მოთხოვნებზე. აღნიშნული პროგრამები ექვემდებარება აგრეთვე სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს შემოწმებასა და აღიარებას. პროგრამები ასევე დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს. პროგრამებში მკაფიოდაა განსაზღვრული სწავლის შედეგები. საფრენოსნო და საინჟინრო პროგრამებში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ასევე პრაქტიკულ წვრთნებს, რომლის გარეშე შეუძლებელია კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევა. აღნიშნულ წვრთნებს სტუდენტები გადიან სასწავლებლის კუთვნილ აერდორმზე „მიმინო“თვითმფრინავები Cessna, Piper seneca, A-22, An-28 და Boeing 737-200, ასევე EASA-ს სტანდარტების შესაბამისი FNPT II MCC კლასის ავიასიმულატორზე. პრაქტიკული წვრთნები ითვალისწინებს ასევე ლაბორატორიულ დავალებებსა და სახელოსნოებში შესრულებულ სამუშაოებს, რასაც სტუდენტები გადიან სხვადასხვა კომპანიებში, სასწავლებელსა და ამ კომპანიებს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე.

სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი პროგრამებში ნათლადაა ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომელიც ეფუძნება სტუდენტში ცოდნის, გაცნობიერების და მათი პრაქტიკაში გამოყენების, კომუნიკაციის, დასკვნისა და სწავლის უნარის, ღიებულებების განვითარებაზე და ის შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებს.

უნივერსიტეტს პროგრამების შესახებ ინფორმაცია განთავსებული აქვს თავის ვებ-გვერდზე. თუმცა ინფორმაცია არის მწირი, არ არის განთავსებული პროგრამების კატალოგები,ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსია არ მუშაობს გამართულად, ასევე არ არის ინფორმაცია ინგლისურენოვან პროგრამებზე. აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს დროს დაწესებულების წარომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლებელი გეგმავს ახალი ვებ-გვერდის იმპლემენტაციას.

სასწავლებელს შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც განსაზღვრულია ასეთი გეგმის შემუშავების საფუძვლები, მეთოდები და განხორციელების წესი. გეგმა ითვალისწინებს ასევე შშმ პირების საჭიროებებს. ინტერვიუს დროს სტუდენტებმაც დააფიქსირეს, რომ სასწავლებელი მოქნილია და ის სტუდენტებს სთავაზობს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რითაც ხელს უწყობენ მათ სწავლაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამები და სილაბუსები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- სასწავლებლის ვებ-გვერდი;
- ინტერვიუ.

რეკომენდაციები:

-გადაიხედოს საბაკალავრო პროგრამები და შესაბამისი სილაბუსები, რათა ტექნიკური შეცდომები იქნას გასწორებული;

-უნივერსიტეტმა შეიმუშავოს პროგრამების კატალოგები და განათავსოს ვებ-გვერდზე. გასწორდეს ვებ-გვერდის გაუმართაობა, ინგლისური და ქართული ვერსია მოვიდეს შესაბამისობაში

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სტუდენტთა შეფასების სიტემა პროგრამის შემადგენელი ნაწილია, სადაც განსაზღვრულია, რომ შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით გამოცდას, რომელთა წილობრივი გადანაწილება 100 ქულიდან არის 60/40-ზე. ამასთან დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დაშვების წინაპირობაა შუალედური შეფასების 60 ქულის 35 პროცენტიანი ბარიერის გადალახვა. დარგის სპეციფიკიდან და საერთაშორისო სტანდარტების

მოთხოვნიდან გამომდინარე არსებობს დამატებითი ტესტური შეფასება, რაც EASA-ს მოთხოვნაა. პროგრამაშივე არის განსაზღვრული დასკვნით გამოცდაზე ხელმეორედ გასვლის პირობები და შეფასების ქულების სისტემა, რაც ნათელი და მკაფიოა. აღსანიშნავია ასევე, რომ სპეციალობის საგნებში დამაკმაყოფილებელი ქულა არ უნდა იყოს 75 პროცენტზე ნაკლები. აღსანიშნავია ასევე რომ პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკული წვრთნების შეფასების სიტემის განსაზღვრასაც. დასკვნითი გამოცდები ტარდება სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, ადმინისტრაციული თანამშრომლის ზედამხედველობის ქვეშ. სტუდენტის ნაწერი არის დაშიფრული და ის დაშიფრული სახით მიეწოდება პროფესორს გასაწორებლად. ქულა სტუდენტის პორტალზე შეიტანება ადმინისტრაციული პერსონალის მიერ. სასწავლებელს დანერგილი აქვს გასაჩივრების სისტემა. სტუდენტი უფლებამოსილია უკმაყოფილების შემთხვევაში მოითხოვოს გასაჩივრება. ასეთ შემთხვევაში ნაშრომი განიხილება პროფესორთან და საკმარისი არგუმენტაციის არსებობის შემთხვევაში ასწორებს ნიშანს ან სტუდენტი გადის განმეორებით გამოცდაზე შეფასების ამაღლების მიზნით. აღნიშნულის შესახებ სტუდენტები ინფორმირებულნი არიან, როგორც ინტერვიუს დროს დადასტურდა. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აგრეთვე „სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის დებულება“. აღნიშნული დებულება ადგენს აკადემიური მოსწრების მონიტორინგისა და აუცილებლობის შემთხვავეში სტუდენტისათვის დამხმარე მექანიზმების პროცესს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - პროგრამები და სილაბუსები; - სტუდენტთა აკადემიური მოსწრების დებულება; - ინტერვიუ
რეკომენდაციები: -
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე

პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სსუ-ს ადამიანური რესურსი მოიცავს აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ, ადმინისტრაციულ, დამხმარე პერსონალს და ასევე საფრენოსნო ტრენინგ ცენტრისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს. სსუ-ში დასაქმებულია 70 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, 63 მოწვეული პერსონალი, 54 აკადემიური პერსონალი, მათ შორის 40 არის აფილირებული. პერსონალის აფილირების წესი გამჭვირვალეა, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აფილირების ხელშეკრულება, რომელიც მკაფიოდ განმარტავს აფილირებული პერსონალის უფლება-მოვალეობებს. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი შეირჩევა კონკურსის წესით, ტრენინგ ცენტრის და პროფესიული განათლების მასწავლებლები ძირითადად ინიშნებიან პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაციის საფუძველზე, ხოლო ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი ინიშნება რექტორის მიერ. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის არჩევა ძირითადად ხდება 4 წლის ვადით, ხოლო უვადო არჩევის შემთხვევაში დასაქმებული 5 წელიწადში ერთხელ გადის ატესტაციას. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე პერსონალის სამსახურში აყვანის ასეთი წესები ობიექტურია და გამჭვირვალე. ვინაიდან საქართველოში და რეგიონში საავიაციო დარგის სპეციალისტების დიდი ნაწილი არის სსუ-ს კურსდამთავრებული, ახალი კადრების მოზიდვა, არჩევა და მათი კვალიფიციურობის დადგენა უზრუნველყოფილია მაღალ დონეზე. ასევე ძალიან მაღალია კურსდამთავრებულების ინტერესი უნივერსიტეტში კარიერის გაგრძელებაზე და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში. აქედან გამომდინარე საკმაოდ დიდია ახალგაზრდა თანამშრომლების რაოდენობა აკადემიური, ადმინისტრაციული და ტრენინგ ცენტრის თანამშრომლის პოზიციებზე. ინტერვიუების დროს არაერთხელ იყო გამოხატული მათი კმაყოფილება უნივერსიტეტში დანერგილ იმ პროცედურებთან მიმართებაში, რომლებიც აადვილებენ ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოში. სსუ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პერსონალის პერიოდულ მომზადებას ან გადამზადებას, 3-5 წელიწადში ერთხელ აფინანსებს მასწავლებლების სერტიფიკატების განახლებას დარგში არსებული საერთაშორისო მოთხოვნების თანახმად. გარდა ამისა, უნივერსიტეტი წელიწადში ერთხელ ან ორჯერ ატარებს უსაფრთხოების ტრენინგებს სტუდენტებისათვის და პერსონალისთვის. პერსონალის კვალიფიკაცია და უსაფრთხოების ნორმები მკაცრად რეგულირდება ICAO-ს სტანდარტებით და წელიწადში 1-2 ჯერ მოწმდება სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ. გარდა ამისა, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს კადრების პროფესიული განვითარების უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, რომელიც მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ადამიანური რესურსის მენეჯერის მიერ დაგეგმილ ტრენინგებს და სხვა ღონისძიებებს. უნივერსიტეტი ატარებს პერსონალის, კურსდამთავრებულების და სტუდენტების გამოკითხვებს, აანალიზებს მათ შედეგებს და ახდენს ჩატარებული გამოკითხვების შედეგებზე რეაგირებას, რაც დადებითად აისახება სწავლების ხარისხზე. ვინაიდან შესაბამისი დოკუმენტები შემუშავებულია 2019 წლის ივლისში, მათი სრულფასოვანი დანერგვა ჯერჯერობით არ მოესწრო დროის ფაქტორიდან გამომდინარე. მაგალითად, ადმინისტრაციული პერსონალის პირველი შეფასება დაგეგმილია მომავალი წლის ზაფხულში, ასევე არ არის საკმარისი ინფორმაცია პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების შესახებ. აქვე აღსანიშნავია, რომ პერსონალის პირადი საქმეები საჭიროებს განახლებას და შეყვანილი მონაცემების მოწესრიგებას. სასურველია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რეზიუმეებში ასახული იყოს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ეფექტურობის ინდიკატორები (პუბლიკაციები, გრანტები, სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა). ასეთი ცვლილებები უფრო ნათლად წარმოაჩენს მოქმედი პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობას სსუ-ს მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: -პერსონალის მართვის პოლიტიკა -აკადემიური და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი -აფილირების წესი

-მართვის ეფექტურობის მონიტორინგისა და შეფასების პოლიტიკა
-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ყოველწლიური გეგმები
-პერსონალის შეფასების პროცედურა
-პერსონალის კმაყოფილების კვლევა
-დოქტორანტთა და მაგისტრანტთა კმაყოფილების კვლევა
-ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- მოხდეს პერსონალის პირადი საქმეების სრულყოფა
- ყოველწლიურად მოხვდეს ადმინისტრაციული პერსონალის კვლევის ჩატარება
- სტუდენტების გამოკითხვები აუცილებლად ჩატარდეს მხოლოდ ანონიმურად

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აკადემიური პერსონალის რაოდენობის გამოთვლის მეთოდოლოგია და მათი დატვირთვის წესი რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტებით, რომლებიც შედგენილია 2019 წლის ივლისში, შესაბამისად, მათი ეფექტურობის სრულფასოვანი შეფასება საკმაოდ რთულია. ამ დოკუმენტების თანახმად აკადემიური დატვირთვის დაანგარიშება ხდება ყოველწლიურად ან სემესტრულად და დამოკიდებულია საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებზე, სტუდენტების რაოდენობაზე და სსუ-ს ბიუჯეტზე. სტუდენტთა რაოდენობა ჯგუფში განისაზღვრება შემდეგნაირად: ლექციებზე 50-90, პრაქტიკული მეცადინეობაზე 20-35, ხოლო ლაბორატორიულ სამუშაოზე არა უმეტეს 20 სტუდენტისა. საწარმოო და პროფესიული პრაქტიკის გავლისათვის საჭირო რესურსები და საათების რაოდენობა რეგულირდება სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ნახსენები სტუდენტების რაოდენობის არ შეგროვების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამის განხორციელებას ფინანსური არახელსაყრელობის მიუხედავად სხვა პროგრამებიდან თანხის გადანაწილების ხარჯზე.

დღეისათვის სსუ-ში დასაქმებულია 63 მოწვეული და 54 აკადემიური პერსონალი, მათ შორის 40 აფილირებული და მოქმედებს 19 სასწავლო პროგრამა, მათ შორის 9 საბაკალავრო, 6 სამაგისტრო და 2 სადოქტორო პროგრამა ქართულ ენაზე და ასევე 2 ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა. აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების რაოდენობა აღემატება 800, მათ შორის 747 სტუდენტი სწავლობს საბაკალავრო საფეხურზე, 48 მაგისტრატურაში და 15 დოქტორანტურაში, აქედან 48 სტუდენტი სწავლობს ინგლისურენოვან პროგრამებზე. ერთ საშტატო ერთეულზე გათვლილი საათობრივი დატვირთვა მკაფიოდ არის აღწერილი და საკმარისია პერსონალის მიერ თავისი მოვალეობების ჯეროვნად შესრულებისათვის. სტუდენტებთან, დეკანებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს სსუ-ს თანამშრომლებმა და სტუდენტებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი

ყოველთვის მზადაა გაუწიოს სტუდენტებს ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები, ან საჭიროების შემთხვევაში ხელი შეუწყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალის მიმდინარე საათობრივი დატვირთვის ცხრილში აღმოვაჩინეთ ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, მოწვეული მასწავლებელი, თამარ ჟღენტი, ორჯერაა შეყვანილი ცხრილში, და ორივე ჯერ მისი ჯამური საათობრივი დატვირთვა სსუ-ში და სხვა დაწესებულებაში აღემატება 40 საათს.

დოკუმენტებიდან და ინტერვიუს შედეგებიდან ჩანს, რომ უცხოელი სტუდენტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება და მოსალოდნელია სამოქმედო გეგმაში გაწერილი ინტერნაციონალიზაციის და უნივერსიტეტის რეგიონალური მასშტაბით პოზიციონირების შედეგად ახალი საერთაშორისო სტუდენტების ნაკადის ზრდას. ამის გათვალისწინებით განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ინგლისურენოვან პროგრამებზე მომუშავე აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის აკადემიური დატვირთვის საკითხი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური დატვირთვის წესი
- აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
- პერსონალის მიმდინარე დატვირთვის ცხრილი
- სტრატეგიული გეგმა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- გამოსწორდეს ტექნიკური შეცდომა საათობრივი დატვირთვის ცხრილში

რჩევები:

- გაიზარდოს პერსონალის ჩართულობა ინგლისურენოვან პროგრამებში

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტებიდამათიმხარდაჭერისღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტისსტატუსისმოპოვების, ცვლილებისადაგანათლებისაღიარებისწესიდასტუდენტთაუფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტუდენტები გათვითცნობიერებულები არიან სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და განათლების აღიარების წესებში („ შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ მმართველი საბჭოს 27.05. 2019 წლის დადგენილება სასწავლო პროცესის

მარეგულირებელი წესის“ შესახებ). აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერზე და საჯარო და ხელმისაწვდომია როგორც მათთვის, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

უსდ -სა და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულება იცავს სტუდენტების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. აგრეთვე ნათლად ასახავს სტუდენტების უფლებებსა და მოვალეობებს, რომლის შესახებაც სტუდენტები ინფორმირებულები არიან.

„შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ‘’ მმართველი საბჭოს 09.09.2019 წლის დადგენილებაში „სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მხარდაჭერის მექანიზმების“ შესახებ, აღნიშნულია რომ „სტუდენტების კანონიერი უფლებების მხარდაჭერა უზრუნველყოფილია დეკანის მიერ, რომელიც არის მთავარი საკონტაქტო პირი სტუდენტისთვის ნებისმიერი პრობლემის თუ გაურკვევლობის შემთხვევაში. დეკანი ერთგვარი შუამავალი, დამაკავშირებელი რგოლია სტუდენტებსა აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან. სტუდენტებს უფლება აქვთ მიმართონ დეკანს, რექტორის მოადგილეს ან რექტორს და მათგან მიიღონ რეაგირება კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით“ , თუმცა საჭიროებს დაზუსტებას კონკრეტულად რა მექანიზმით ხდება სტუდენტების საჩივრების განხილვა აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოებისა და პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- „შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ‘’ მმართველი საბჭოს 09.09.2019 წლის დადგენილება „სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მხარდაჭერის მექანიზმების“ შესახებ.
- „შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ მმართველი საბჭოს 27.05. 2019 წლის დადგენილება „ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესახებ.
- უსდ-სა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები.
- სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- დაზუსტდეს რა მექანიზმით ხდება სტუდენტების საჩივრების განხილვა აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოებისა და პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით.

რჩევები:

–

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

სტუდენტები ინფორმირებულები არიან თუ ვის მიმართონ უსდ-ში, საჭირო საკონსულტაციო მომსახურების შესახებ. კარიერული მხარდაჭერა ხორციელდება დასაქმებისა და კარიერული განვითარების მენჯერის მიერ, რაც გამოიხატება სტუდენტებისათვის ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში, დამსაქმებლებთან შეხვედრაში და ა.შ. სტუდენტები ჩართულები არიან სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, როგორებიცაა გაცვლითი პროგრამები, თვითმმართველობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები და სხვ. უსდ აგრეთვე უზრუნველყოფს დამატებით აქტივობებს როგორებიცაა პირველკურსელთა მიღების ღონისძიება, სხვადასხვა საახალწლო აქტივობები, საჯარო ლექციები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს, რომლებიც სწავლასთან ერთად მუშაობენ აქვთ ხელშეწყობა ადმინისტრაციის მხრიდან (ლექციების გრაფიკის შედგენისას ითვალისწინებენ იმას, რომ სტუდენტი მუშაობს). უსდ ითვალისწინებს სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარობას, რაც გამოიხატება სტიპენდიის (125 ლარი თვეში) დანიშვნაში, სტუდენტზე მორგებული სწავლის საფასურის გადახდის სქემაში. სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის გეგმა ხორციელდება უსდ-ს მიერ შესაბამისი დადგენილებით არსებული მექანიზმით, რომელიც არის გამჭვირვალე, ობიექტური, საჯარო და ხელმისაწვდომი (განთავსებულია უსდ-ს ვებგვერდზე).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უსდ-ის მიერ ჩატარებული კურსდამთავრებულთა გამოკითხვა. • გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტთა სია. • „შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის '' მმართველი საბჭოს 15.07.2019 წლის დადგენილება „სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმის“ შესახებ
რეკომენდაციები: -დაზუსტდეს რამდენ უცხოურ სასწავლო დაწესებულებასთან აქვს გაფორმებული მემორანდუმი უსდ-ს და როგორია სტუდენტთა მონაწილეობის სტატისტიკა.
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით: ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: სსუ-ში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა ხორციელდება დაწესებულებაში არსებული კვლევითი ცენტრის

ფარგლებში და მოიცავს ხუთ ძირითად მიმართულებას. კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შესრულების და შეფასების მექანიზმები რეგულირდება სამეცნიერო ცენტრის დებულებით და, შესაბამისად, ეხება მხოლოდ ცენტრში გაწევრიანებულ პერსონალს. ამრიგად გაურკვეველი რჩება უნივერსიტეტის სხვა პერსონალის კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია სამეცნიერო კვლევითი ცენტრის 2019-2021 წლების დეტალური სამუშაო გეგმა, თუმცა არ მოიპოვება დოკუმენტი მიმდინარე კვლევების ამ გეგმასთან შესაბამისობის შესახებ.

უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობა ხორციელდება არა მხოლოდ მის ტერიტორიაზე არსებულ ლაბორატორიებში, არამედ ადგილობრივი ეკონომიკური აგენტების ტექნიკურ ბაზაზეც. ეკონომიკური აგენტები გამოხატავენ კვლევისა და პრაქტიკული კომპონენტის განვითარების დიდ მხარდაჭერას და უფასოდ ან დიდი შეღავათით აძლევენ სსუ-ს თავისი რესურსებით სარგებლობის საშუალებას. ასევე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მიერ ხელმოწერილი მემორანდუმების ფარგლებში ხორციელდება აქტიური ურთიერთთანამშრომლობა უცხოურ უნივერსიტეტებთან, ერთობლივ კვლევით საქმიანობაში ჩართულები არიან მაგისტრატურის და დოქტორანტურის სტუდენტები. გარდა ამისა უნივერსიტეტი ატარებს ყოველწლიურ ადგილობრივ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციას.

სსუ 2008 წლიდან პერიოდულად გამოსცემს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალს „საჰაერო ტრანსპორტი“. ამ ჟურნალში იბეჭდება ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე დაწერილი სსუ პროფესორ მასწავლებელთა, სსუ სტუდენტთა და უცხოეთში მოღვაწე დარგის სპეციალისტთა ნაშრომები. ასევე ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოცემულია სამეცნიერო პერსონალის მიერ შექმნილი სამი მონოგრაფია, მიღებულია ორი პატენტი, სტუდენტები და სამეცნიერო პერსონალი მოახსენებს კვლევის შედეგებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე. მაგრამ, ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს საერთაშორისო იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების სიმცირე. ვინაიდან ამ ტიპის სტატიები შედის სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების აუცილებელ წინაპირობებში, მათი რაოდენობის გაზრდა აუცილებლად მიგვაჩნია როგორც კვლევის ინტერნაციონალიზაციისათვის, ასევე სადოქტორო კვლევების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის აკადემიური დატვირთვა მკაფიოდ არის განმარტებული, ხელმძღვანელების და დოქტორანტების თანაფარდობა საკმარისია სწავლისა და კვლევის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად. ორივე სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა ნათლად არის მოცემული, ასევე მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული სადისერტაციო ნაშრომის გაფორმების წესები და შეფასების კრიტერიუმები. მაგრამ როგორც დოკუმენტებიდან და ინტერვიუს შედეგებიდან ჩანს, სადოქტორო პროგრამების კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული აქტივობები და მათი შეფასების კრიტერიუმები საჭიროებენ უფრო ჩამოყალიბებულ გაფორმებას. განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს დოქტორანტებისთვის სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობების დროული გაცნობა. ასევი უნივერსიტეტში ვიზიტის დროს დადგინდა სადისერტაციო ნაშრომის არასრული გაფორმება (ნაშრომების თანმხლებ დოკუმენტებს აკლია თარიღები და პასუხისმგებელი პირების ხელმოწერები).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დებულება
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალთა საქმიანობის ნუსხა (ორი ნაწილი)
- მიმდინარე და დაგეგმილი სამეცნიერო საქმიანობები
- ერთობლივი კვლევითი შემოქმედებითი აქტივობები
- მემორანდუმები
- სადოქტორო პროგრამები
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- შეიქმნას სამეცნიერო კვლევითი ცენტრში არ გაწევრიანებული პერსონალის კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი
- ყურადღება მიექცეს სადოქტორო ნაშრომების გაფორმებას, თანამედროვე ლიტერატურის გამოყენებას
- მოხდეს დოქტორანტების უფრო მეტად ინფორმირება საერთაშორისო თუ ადგილობრივ სამეცნიერო ბაზებით სარგებლობასთან მიმართებაში.

რჩევები:

- შეიქმნას სადოქტორო პროგრამის/სადისერტაციო საბჭოს დებულება, რომელშიც ასახული იქნება დოქტორანტურაში ჩარიცხვის წინაპირობები, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების დეტალური განხილვა, დისერტაციის დაცვაზე დაშვების წინაპირობები და სხვა.
- გაიზარდოს იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მმართველი საბჭოს 2019 წლის სხდომის ოქმიდან და სხვა მითითებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სსუ მის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებებით სამეცნიერო კვლევების მხარდასაჭერად გამოყოფს მის ხელთ არსებულ ფინანსურ, მატერიალურ ტექნიკურ და ადამიანურ რესურსს. გარდა ამისა სსუ მუდმივად ზრუნავს საერთაშორისო და ადგილობრივი პარტნიორების მხარდაჭერის მოპოვებაზე, დარგში დასაქმებულ სსუ კურსდამთავრებულებთან კონტაქტების გამყარებაზე. ყოველივე ამას, ასევე ადასტურებს პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ჩატარებული ყველა ინტერვიუ.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, აკადემიური პერსონალი და სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული საგრანტო პროექტების წარდგენასა და შესრულებაში. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გეგმაში და ყოველწლიურ ბიუჯეტში ჩადებულია მათი მივლინებები პარტნიორ უნივერსიტეტებში და დარგობრივ საწარმოებში. ფაკულტეტები და პროგრამის ხელმძღვანელები ხელს უწყობენ სტუდენტების მონაწილეობას საგრანტო კონკურსებში და გაცვლით პროგრამებში. სტუდენტები და პერსონალი ერთსულოვნად აღნიშნავენ უნივერსიტეტის მხრიდან ყველანაირ თანადგომას მივლინებასა, პრაქტიკასთან, თუ საგრანტო პროექტის შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებში.

სსუ-ში დასაქმებულ ახალგაზრდა თანამშრომელთა რაოდენობა საკმაოდ მაღალია ყველა სტრუქტურულ ერთეულში. გარდა ამისა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე ბევრი დარგში დასაქმებული ახალგაზრდა სწავლობს. ახალგაზრდა კადრების კვლევასა და საგანმანათლებლო სფეროში მოზიდვის სტრატეგიის წარმატება დიდ წილად განპირობებულია იმით, რომ უნივერსიტეტი ინარჩუნებს მჭიდრო ურთიერთობას თავის კურსდამთავრებულებთან, ასევე თანამშრომლობს ადგილობრივი ბაზრის ლიდერებთან და ხელს უწყობს წარჩინებული მაგისტრანტების და დოქტორანტების კვლევით სტაჟირებებს

და შემდგომ მათი დასაქმებას ინსტიტუციაში თუ მის გარეთ. სსუ თავადაც უზრუნველყოფს თანამშრომლების გადამზადებას და საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ პერიოდულ სერტიფიკაციას, ასევე მხარს უჭერს კვლევაში ჩართულ სტუდენტებს და უზრუნველყოფს სასწავლო გეგმის მორგებას სტაჟირებებით გამოწვეული ინდივიდუალური მოთხოვნების თანახმად.

გარდა ადგილობრივი თანამშრომლობისა სსუ დიდ ყურადღებას აქცევს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში შეტანილ საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებას და კვლევის ინტერნაციონალიზაციას. ბოლო 5 წლის განმავლობაში სსუ ჩაერთო Erasmus + K2 პროექტში, მიიღო მონაწილეობა ლატვია-საქართველოს ერთობლივ კვლევით გრანტში, განახორციელა რიგი აქტივობები ვილნიუსის და ვარშავის უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში. ვარშავის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში გაგზავნილი იყო 1 სსუ დოქტორანტი და 3 მაგისტრანტი, ხოლო შემდგომ ამავე ხელშეკრულებით ვარშავიდან ჩამოვიდა 4 სტუდენტი სსუ-ს სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად.

მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმების მარეგულირებელი წესები არსებობს მხოლოდ სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დებულებაში და ფორმალურად ეხება მხოლოდ ცენტრის წევრებს. მაგრამ როგორც ინტერვიუებიდან და სხვა ზემოთ აღნიშნული დოკუმენტებიდან ჩანს, სსუ არ ზღუდავს სხვა პერსონალს ან სტუდენტებს კვლევების მხარდაჭერის კუთხით და ფაქტობრივად ხელმძღვანელობს კვლევითი ცენტრის დებულებით სამეცნიერო მუშაობაში ჩართული ყველა პირის მიმართ. ეს გარკვეულ წილად ასახულია ცენტრის დებულების 1.5 პუნქტში, მაგრამ ძალიან ზოგადად არის დაწერილი და მოითხოვს მეტ გამჭვირვალებას თუ რა უფლება-მოვალეობები აქვთ ცენტრის საქმიანობაში ჩართულ არაწევრ მონაწილეებს. ასევე სასურველია პერიოდულად შედგენილი იყოს ცენტრის საქმიანობაში ჩართული პირების სრული სია მათი წევრობის და შეტანილი წვლილის მითითებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დებულება
- სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის სამუშაო გეგმა
- მმართველი საბჭოს ოქმი 2018-2019
- ხარჯთაღრიცხვა ფაკულტეტების მიხედვით 2019
- მემორანდუმები
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

შეიქმნას სამეცნიერო კვლევით ცენტრში არ გაწევრიანებული პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდამჭერი მექანიზმების მარეგულირებელი დოკუმენტი.

რჩევები:

- ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით უნივერსიტეტს აქვს გატარებული ბევრი აქტივობა, თუმცა კვლევებთან დაკავშირებით საჭიროა უფრო მეტი ჩართულობა საერთაშორისო ღონისძიებებში, კონფერენციებში მონაწილეობა უცხოეთში.
- დაევალოს სამეცნიერო კვლევით ცენტრს რეგულარული ანგარიშის შედგენა მის საქმიანობაში ჩართული პირების ვინაობაზე და ჩატარებული კვლევებზე.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსუ-ს არ აქვს შემუშავებული კვლევითი საქმიანობის შეფასების დამოუკიდებელი მექანიზმი. შეფასების (მათ შორის კვლევების შეფასების) პოლიტიკა გაწერილია პერსონალის შეფასების პროცედურის დოკუმენტში, ასევე, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულებაში. ამ პოლიტიკის პირველი მუხლის მე-5 პუნქტი მოიცავს სწორედ უნივერსტიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასებას სწავლების, კვლევისა და ადმინისტრაციულ/ორგანიზაციული მიმართულებით. ამავე დოკუმენტის მიხედვით, აკადემიური პერსონალის შეფასება ხდება კვლევის მიმართულებითაც. დოკუმენტის ბოლოს ასევე წარმოდგენილია აკადემიური პერსონალის თვითშეფასების ფორმა, რომელიც მოიცავს კვლევების შესახებ რამდენიმე პუნქტს. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს დოკუმენტი კი არსებობს, თუმცა შევსებული სახით არ წარმოუდგენია უნივერსიტეტს. ხოლო, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულებაში არის გაწერილი კვლევის/შემოქმედებითი საქმანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი. კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგების ანალიზი არ არის გაკეთებული. ის, რაც უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს ამ მიმართულებით, არის დაფინანსებული კვლევების ჩამონათვალი, რომელიც მიღებული აქვთ მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს როგორც ქვეყნის შიგნით არსებული დაფინანსების წყაროებიდან, ასევე უცხოური გრანტების სახით. რაც შეეხება პერსონალის კვლევასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, უნივერსიტეტს აქვს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალთა საქმიანობის ნუსხა, თუმცა ინფორმაცია არის მწირი და არ იძლევა სრულ სურათს.

სსუ-ს შემუშავებული აქვს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დებულება, სადაც მუხლი 3-ში ერთ-ერთი პუნქტია კვლევის/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი. ამ დებულების თანახმად, ცენტრი წელიწადში მინიმუმ ერთხელ ფაკულტეტებს წარუდგენს მოხსენებას გაწეული საქმიანობის შესახებ. აქვე აღნიშნულია, რომ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასება. თუმცა, არსებული დოკუმენტებიდან არ ჩანს, როგორ იყენებს უნივერსიტეტი განხორციელებული კვლევების შედეგების ანალიზს კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის.

სსუ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი მიმდინარე და /ან დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევითი შემოქმედებითი საქმიანობის პროექტების მოკლე აღწერები (2017-2022). ამასთანავე, წარმოდგენილია 2019-2021 წლების სამეცნიერო-კვლევითი საქმინაობის სამუშაო გეგმა, სადაც სამუშაოს დასახელებასთან ერთად გაწერილია ხელმძღვანელი პირები და შესრულების ვადები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის შეფასების პროცედურა;
- დაფინანსებული კვლევები;
- სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დებულება;
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალთა საქმიანობის ნუსხა;
- მიმდინარე და დაგეგმილი სამეცნიერო საქმიანობები;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სამუშაო გეგმა.

რეკომენდაციები:

- შემუშავებულ იქნას კვლევითი საქმიანობის შეფასების დამოუკიდებელი მექანიზმი და მოხდეს მისი იმპლემენტაცია;
- პერიოდულად გამოქვეყნდეს პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების ანალიზის საფუძველზე

განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია; - სრულყოფილად იქნას წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევების შესახებ ანგარიშები.
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი თავის საკუთრებაში ფლობს ქ. თბილისში ქ. წამებულის გამზირი N16-ში არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების საერთო ფართს 5012 კვ.მ, რომელზეც განთავსებულია სასწავლო კორპუსები (საგანმანათლებლო და საწვრთნელი ცენტრი). სასწავლებლის საკუთრებაშია ასევე თელავში არსებულიs არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 565 700 კვ.მ, რომელზეც განლაგებულია ნაგებობები სტუდენტთა თეორიული სწავლებისათვის და თვითმფრინავების ანგარი. სასწავლო დაწესებულებაში არის შესაბამისად აღჭურვილი აუდიტორიები, სადაც დამონტაჟებულია პროექტორები. დაწესებულებასი არის გათბობის სისტემა, დამონტაჟებულია ლიფტი, არის სანიტარული კვანძები, მათ შორის შშმ პირებისათვის. შენობაში სანიტარული და ჰიგიენური ნორმები დაცულია . დაწესებულებაში არის ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, რომელიც შემოწმებულია და ვადაშია. ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. დაწესებულებას ეზოში მოწყობილი აქვს სპორტული მოედანი, თუმცა შენობაში სტუდენტთა თავისუფალი სივრცეები მცირეა, რაც თავად სტუდენტებმა აღნიშნეს ინტერვიუს დროს. სასწავლებელს აქვს კაფეტერია, თუმცა როგორც ვიზუალური დათვალიერებისას აღმოჩნდა ის საჭიროებს განახლებას რათა დააკმაყოფილოს სტუდენტთა მოთხოვნები. დაწესებულებას გააჩნია საჭირო ლაბორატორიები პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული დავალებების უზრუნველსაყოფად , თუმცა აღნიშნულ ლაბორატორიებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არის მოძველებული და სასურველია მათი ეტაპობრივად განახლება

სასწავლბელს გააჩნია 2 აუდიტორია კომპიუტერებით. აღსანიშნავია რომ კომპიუტერების განახლება და ახლების შეძენა განხორციელდა მიმდინარე წელს. დაწესებულებაში არის ინტერნეტი და ინტერნეტზე თავისუფალი წვდომა.

უნივერსიტეტს გააჩნია საწვრთნელი ცენტრი, რომელიც ორიენტირებულია სპეციალიზეირებული კურსების ჩატარებაზე. ცენტრს გააჩნია ავია-სიმულატორი, შვეულმფრენის სიმულატორი. დაწესებულება ფლობს ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორს.

სასწავლებელი თავის საკუთრებაში ფლობს 5 საწვრთნელ და 1 არამოქმედ საჰაერო ხომალ Boeing 737-200. სასწავლო-საწვრთნელი თვითმფრინავები არიან გამართულ მდგომარეობაში, და ისინი არინ მუდმივი მონიტორინგის ქვეშ ტექნიკური გამართულობის შემოწმების მიზნით. აღნიშნული თვითმფრინავების ტექნიკური მდგომარეობა რეგულირდება და მოწმდება სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ.

სასწავლებელში არსებობს სპეციალური საჭიროების სტუდენტებისათვის მოწყობილი ადაპტირებული გარემო. დამონტაჟებულია ლიფტი და მოწყობილია შესაბამისი სანიტარული კვანძები.

დაწესებულებას იცავს დაცვის სამსახური, რომელიც იცავს პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოებას. სამსახურის უფროსი ატარებს ხანძარსაწინააღმდეგო საცდელ წვრთნებს. შენობა და მისი პერიმეტრი კონტროლირდება ვიდეო-მონიტორინგით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 1;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 2;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 3;
- ინვენტარიზაციის აქტი;
- ვიზუალური დათვალიერება ვიზიტის დროს

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

- მოწესრიგდეს ფოიე და კაფეტერია და მოეწყოს სტუდენტზე ორიენტირებული უფრო მეტი თავისუფალი სივრცე.
- სასურველია უნივერსიტეტმა ეტაპობრივად განაახლოს ლაბორატორიებში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

უსდში არსებული ბიბლიოთეკა მოიცავს წიგნსაცავს, სამკითხველო დარბაზს, ბიბლიოთეკის პერსონალისათვის განკუთვნილ სივრცეს, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობისათვის საჭირო სივრცეს. იგი უზრუნველყოფილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, ქსეროქსითა და

სკანერით. აგრეთვე შესაძლებელია უკაბელო ინტერნეტით სარგებლობა. მასში მოქმედებს ლიტერატურის ელექტრონული საძიებო სისტემა. ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი მრავალფეროვანია, მუდმივად ახლდება შეძენილი წიგნების მეშვეობით. ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია და არის ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. წარმოდგენილია ლიტერატურის ელექტრონული ვერსიების ჩამონათვალი. ბიბლიოთეკის პერსონალსა და სტუდენტებს შეუძლიათ წვდომა „ელსევიერის'' ბაზებზე. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბიბლიოთეკის პერსონალის გადამზადების კუთხით, კარგი იქნება თუ უნივერსიტეტი დაგეგმავს ტრენინგებს, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიული უნარების განვითარებაში. აღნიშნული საკითხისადმი აუცილებლობა დაინახა ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ვიზიტის დროს, კერძოდ, ბიბლიოთეკის პერსონალის მიერ ელექტრონულ მასალებთან წვდომის განხორციელებისას. ასევე, უნდა მოხდეს სტუდენტთა და პერსონალის მიერ ბიბლიოთეკით სარგებლობის წახალისება, რაც დინამიკაში მზარდი მომხმარებლების რაოდენობით იქნება გამოხატული.
ბიბლოითეკა მუშაობს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:00 – 20:00 სთ-მდე, ხოლო შაბათს 10:00 – 15:00 სთ-მდე.
პერსონალს აქვს შესაბამისი კომპეტენცია, რომ დახმარება გაუწიოს სტუდენტებს საჭიროების შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- 2015 – 2019 წლის აქტები.
- „შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის '' ბიბლიოთეკის დებულება.
- „ელსევიერის" ბაზების ხელშეკრულება.
- ვიზიტი უსდ-ს ბიბლიოთეკაში.
- ინტერვიუ სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

- გადამზადდეს ბიბლიოთეკის პერსონალი საბიბლიოთეკო ელექტრონულ რესურსების გამოყენების უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წახალისება სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2019 წელს შემუშავებულია საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა. დოკუმენტი იძლევა ინფორმაციას უნივერსიტეტში არსებული საინფორმაციო ინფრასტრუქტურის და სერვისების შესახებ, ასევე მოიცავს მათი განვითარების მექანიზმებს.

ექსპერტთა ჯგუფმა სსუ-ში ვიზიტის დროს დაათვალიერა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა. სსუ აღჭურვილია ინფორმაციული ტექნოლოგიებით. აუდიტორიები აღჭურვილის პროექტორით და

კომპიუტერით (მხოლოდ გამონაკლისი შემთხვევებისა), 2 კომპიუტერული კლასი აღჭურვილია სათანადო მონაცემების მქონე კომპიუტერებით, ინტერნეტთან წვდომა აქვს ყველა კომპიუტერს, ხორციელდება WIFI კავშირი. ინტერნეტს კავშირს უზრუნველყოფს კომპანია "სილქნეტი". ინტერნეტ ქსელში ჩართულია როგორც კომპიუტერები, ასევე საფრენოსნო საწაფები. უნივერსიტეტში კომპიუტერული ქსელის გამართულობაზე და მის მონიტორინგზე, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვაზე პასუხისმგებელი პირი არის ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი.

უნივერსიტეტში არ არის დანერგილი ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, თუმცა ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ის დაგეგმილია და მიმდინარეობს შესაფერისი მომწოდებელი კომპანიის მოძიება. აღნიშნული აქტივობა ასევე გაწერილია 3 წლიან სამოქმედო გეგმაში, სადაც აღნიშნულია რომ კომპანიის მოძიება უნდა დასრულებულიყო მიმდინარე წლის სექტემბერში, ხოლო სისტემის იმპლემენტაცია დაგეგმილია 2020 წლისათვის. დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოებას.
უნივერსიტეტში დანერგილია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელსაც იყენებენ, როგორც სტუდენტები, ასევე პერსონალი და არის მხოლოდ ავტორიზებული მომხმარებლებისათვის. სისტემის ფუნქცინირების და სერვისების გადამოწმების მიზნით, ექპერტთა ვიზიტისას, სტუდენტებთან ინტერვიუს დროს, მოხდა სისტემის გადამოწმება, კერძოდ, ერთ-ერთმა სტუდენტმა საკუთარ მობილურ ტელეფონში გახსნა მობილური აპლიკაცია, სადაც სტუდენტთათვის ხელმისაწვდომი ჩანართების ფუნქციონირება დადასტურდა. სისტემა არის მუშა მდგომარეობაში, თუმცა ინტერფეისი საჭიროებს დახვეწას.

ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკაში არის უსაფრთხოების პოლიტიკის მუხლი (9), სადაც დეტალურადაა გაწერილი სტუდენტებისა და თანამშრომლების პირადი ინფორმაციის დაცულობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები.

სსუ-ს ვებ გვერდია: http://www.ssu.edu.ge/index.php/ka/

ვებ გვერდი ორენოვანია, თუმცა ქართულ და ინგლისურ გვერდებზე განთავსებული ინფორმაცია არ არის სრულად იდენტური. ასევე, ზოგადად, ვებ გვერდი დასახვეწია, არ არის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, ზოგიერთი ჩანართი არ შეიცავს ინფორმაციას. ვებ გვერდის განვითარების აუცილებლობის შესახებ აღინიშნა თავად უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან. მათივე ინფორმაციით, ასევე ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, განვითარების მექანიზმების შიგნით არსებობს ჩანაწერი, რომ დაგეგმილია ვებ გვერდის განახლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა;
- ხელშეკრულება ინტერნეტ პროვაიდერთან;
- ტენდერის დოკუმენტი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი პროგრამის შექმნისათვის;
- დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება.

რეკომენდაციები:

- დაინერგოს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა;
- გაუმჯობესდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის ინტეფეისი;
- მოხდეს ვებ გვერდის განახლება და დახვეწა.

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულების მიერ წრმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით მიმდინარე წელს შემოსავლები არის 4 694 804, ხარჯები არის 4 497 000. ძირითადი ხარჯები მოდის ხელფასებზე. კადრების მომზადება გადამზადებაზე გამოყოფილია 106 000 ლარი. მიმდინარე წელს დაწესებულებამ კრედიტით შეიძინა ორძრავიანი თვითმფრინავი.

დაწესებულების დაფინანსების წყაროები არის მხოლოდ საკუთარი შემოსავლები: ძირითადი არის სტუდენტებიდან მიღებული გადასახადები, შემდეგ საწვრთნელი ცენტრი. ასევე დაწესებულებას გასულ წელს მიღებული აქვს მილენიუმის გრანტი.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ჰყავს ცალკე სტრუქტურული ერთეული ფინანსური საქმიანობის წარმართვისათვის, რომელსაც ხელმძღვანელობს ფინანსური მენეჯერი. წარმოდგენილ ბიუჯეტში პრიორიტეტები განსაზღვრულიასწორად და ის ითვალისწინებს სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებულ და დაგეგმილი აქტივობების მხარდაჭერას. ფინანსური მენეჯერი არის მმართველის საბჭოს წევრი, რაც უზრუნველყოფს ფინანსური სამსახურის ჩართულობას უნივერსიტეტის მიმდინარე თუ დაგეგმილ აქტოვობებში და მის მიერ სწორი ინფორმაციის ფლობას. შესაბამისად შემდგომ ბიუჯეტის დაგეგმვისას ის ეფექტურად ახორციელებს თანხების გადანაწილებას.

სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე უნივერსიტეტის ფინანსები დაგეგმილი და განაწილებული აქვს ძირითადი საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისათვის, კერძოდ კვლევითი საქმიანობისათვის, ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერებისათვის, ინფორმაციული სისტემის განახლება/გაუმჯობსებისათვის, ინფრასტრუქტურის განახლებისათვის, ბიბლიოთეკის ყოველწლიურ განახლებასა ახალი ლიტერატურით, ასევე ბიბლიოთეკის მატერიალური ბაზის ეტაპობრივ განახლებას და სხვა. სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი 2019 წლის ბიუჯეტში ასახული ხარჯები ადასტურებს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფას, კერძოდ დაწესებულებას კვლევითი მიმართულებით გაწეული აქვს 75 000 ლარი, ბიბლიოთეკის განახლებაზე 15 000 ლარი, მივლინებებზე 25 000 ლარი, კონფერნციებისა, სემინარების, სესიებისა და სხვა შეხვედრებისათვის 10 000 ლარი და სხვა.

სამწლიანი სამოქმედო გეგმა ასე ითვალისწინებს ბიბლიოთეკის ყოველწლიურ განახლებასა ახალი ლიტერატურით, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 10 000 ლარი, ასევე ბიბლიოთეკის მატერიალური ბაზის ეტაპობრივ განახლებას.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას არ ჩატარებია ფინანსური აუდიტი უფლებამოსილი ფინანსური ფირმის მიერ და შესაბამისად არ იყო ანგარიში წარმოდგენილი, თუმცა აღსანიშნავია, რომ სამწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია ფინანსური აუდიტის მექანიზმის დანერგვის აქტივობა 2020 წლისათვის, რომლისთვისაც ბიუჯეტში დაგეგმილია 2020 ლარი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: - დაწესებულების ბიუჯეტი; - სტრატეგიული განვითარების გეგმა - სამწლიანი სამოქმედო გეგმა - ინტერვიუ
რეკომენდაციები: - დაწესებულებამ განახორციელოს ფინანსური აუდიტი უფლებამოსილი ფინანსური ფირმის მიერ, რომლის მიერ შედგენილი დასკვნები და შედეგები იქნება საჯაროდ ხელმისაწვდომი.
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია	ქართული	ინჟინ ერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციი ს სპეციალობით	240	აკრედიტებული	25.05.2015 06/17
2	საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაცია	ქართული	ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციი ს სპეციალობით	240	აკრედიტებული	25.05.2015 06/17
3	საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირ ების ბაკალავრიმენე	240	აკრედიტებული	25.05.2015 06/17

			ჯმენტის სპეციალობით			
4	ინფორმაციული ტექნოლოგიები და ფრენის მართვის ავტომატიზებული სისტემები	ქართული	ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ინფორმატიკის სპეციალობით.	240	აკრედიტებული	25.05.2015 06/17
5	საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (კომერციული პილოტი)	ქართული	ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციი ს სპეციალობით	240	აკრედიტებული	25.05.2015 06/17
6	ფრენების უზრუნველყოფის მიწისზედა რადიოტექნიკური საშუალებების ტექნიკური ექსპლუატაცია	ქართული	ინჟინერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი საჰაერო ტრანსპორტის ექსპლ უატაციის სპეციალობით	240	აკრედიტებული	25.05.2015 06/17
7	ტურიზმი	ქართული		240	აკრედიტებული	
8	საბუღალტრო აღრიცხვა	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირ ების ბაკალავრი საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობით	240	აკრედიტებული	25.05.2015 06/17
9	საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაცია (კომერციული პილოტი) ინგლისურენოვანი	ინგლისური	Academic degree of Bachelor of engineering major in Air Transport Exploitation	240	ავტორიზებული	28.01.2015 06/04
10	საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია (ინგლისურენოვანი)	ინგლისური	Academic degree of Bachelor of engineering major in Air Transport Exploitation	240	ავტორიზებული	28.01.2015 06/04
11	საფრენი აპარატების დაპროექტება და წარმოება	ქართული	ინჟინ ერიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მექანიკის ინჟინერიასა	240	აკრედიტებული	25.01.2016 06/05

			და ტექნოლოგიაში			
12	ინფორმაციული ტექნოლოგიები და ფრენის მართვის ავტომატიზირებული სისტემები.	ქართული	ინჟინერიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალიზაციით	120	აკრედიტებული	25.05.2015 06/17
13	საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაცია.	ქართული	ინჟინერიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი საჰაერო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის სპეციალიზაციით	120	აკრედიტებული	25.05.2015 06/17
14	საჰაერო ხომალდების ავიონიკისა და ელექტრული სისტემების ტექნიკური ექსპლუატაცია .	ქართული	ინჟინერიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი საჰაერო ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის სპეციალიზაციით	120	აკრედიტებული	25.05.2015 06/17
15	საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საჰაერო ტრანსპორტის მენეჯმენტში	120	აკრედიტებული	28.01.2015 06/04
16	ფინანსური აღრიცხვა და კონტროლი.	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრიფინანსურ აღრიცხვასა და კონტროლში	120	აკრედიტებული	28.01.2015 06/04
17	საფრენი აპარატების დაპროექტება და წარმოება .	ქართული	ინჟინერიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი საფრენი აპარატების	120	აკრედიტებული	25.05.2015 06/17

			კონსტრუირებ ისა და წარმოების სპეცაილიზაცი ით			
18	საფრენი აპარატების დაპროექტება	ქართული	ინჟინერიის დოქტორის აკადემიური ხარისხი მექანიკის ინჟინერიასა და ტექნოლოგიაშ ი	180	აკრედიტებული	25.05.2015 06/17
19	საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია	ქართული	ინჟინ ერიის დოქტორის აკადემიური ხარისხი საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია ში	180	აკრედიტებული	25.05.2015 06/17